მონიტორების ქცევის წესები

(ეთიკის კოდექსი)

მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული ქცევის წესებით უნდა იხელმძღვანელოს ყველა მონიტორმა, რომელიც მონიტორინგის მიზნით ახორციელებს არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომებზე დაკვირვებას.
2. ყველა მონიტორი ვალდებულია გაეცნოს ამ წესით განსაზღვრულ მოვალეობებს და ხელი მოაწეროს ამ დოკუმენტს, რითაც გამოხატავს მზადყოფნას და იღებს ვალდებულებას აღნიშნული პრინციპებისა და პროცედურების დაცვაზე.

მუხლი 2. პროფესიონალიზმი

1. მონიტორები წარმოადგენენ მონიტორინგის პროცესის სახეს. მათი რეკომენდაციებისა და მიგნებების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი პროფესიონალიზმითა და თავდადებით უდგებიან ისინი საკუთარ საქმეს. ამიტომ მონიტორების მიმართ ნებისმიერ დროს არის მაღალი პროფესიონალიზმის მოლოდინი. მონიტორი ვალდებულია:

ა) სასამართლო განხილვამდე/სხდომამდე გაეცნოს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას, მათ შორის, უნდა იცოდეს სასამართლო განხილვის თარიღი და დრო, სასამართლოს ადგილმდებარეობა და შესაბამისი სხდომის დარბაზი, უნდა ფლობდეს ინფორმაციას საქმეში მონაწილე პირების: ბრალდებულების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, დამცველის, პროკურორის და მოსამართლის შესახებ; ასევე საჭიროების შემთხვევაში მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნების, მათი კანონიერი წარმომადგენლების და დამცველების შესახებ. მონიტორები ასევე წინასწარ უნდა გაეცნონ ბრალდების არსს, რა საკითხთან დაკავშირებითაც იმართება სასამართლო განხილვა;
ბ) სასამართლოში მივიდეს გარკვეული დროით ადრე, რათა ჰქონდეს საკმარისი დრო პროცედურების გასავლელად სასამართლო სხდომაზე დასწრების მიზნით;
გ) სასამართლოს სხდომის დაწყებამდე წარუდგინოს თავი მოსამართლეს/სასამართლო სხდომის თავჯდომარეს/ან სხვა სასამართლო მოხელეს;
დ) მთელი ყურადღება უნდა მიმართოს/გაამახვილოს პროცესის მიმდინარეობაზე და გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერები;
ე) მკაცრად უნდა დაემორჩილოს სასამართლო წესებს;
ვ) მისი ჩაცმულობა და ქცევა უნდა იყოს სათანადო და შესაბამისი;
ზ) მხარეებთან და სასამართლო სხდომის დარბაზში იქცეოდეს პატივისცემით, თავაზიანად, ეტიკეტის დაცვით;

თ) საკუთარ მიგნებებზე დაყრდნობით დროულად და ზუსტად აწარმოოს ანგარიშები;

ი) უზრუნველყოს, რომ ანგარიშში ასახული ინფორმაცია იყოს ზუსტი და თანმიმდევრული;

კ) ანგარიშში ასახული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი უნდა ეფუძნებოდეს მის მიერ უშუალოდ დაკვირვების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ანგარიშში ასახვის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული შესაბამისი წყარო. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს ანგარიშში ასახული ფაქტების მკაფიოდ გამიჯვნა მესამე პირების განცხადებების და შეფასებებისგან;

ლ) ყოველთვის უნდა გამოხატოს პატივისცემა ყველა ოფიციალური პირის მიმართ;

მ) მუდმივად ატარებდეს საიდენტიფიკაციო ნიშანს, ე.წ „ბეიჯს“.

მუხლი 3. ჩაურევლობა

1. სასამართლო მონიტორინგის ფუნდამენტური პრინციპია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის დამოუკიდებლობისადმი პატივისცემა. შესაბამისად, დაუშვებელია მონიტორი ჩაერიოს ან სცადოს რაიმე ფორმით გავლენა მოახდინოს სასამართლო პროცესზე. მონიტორი ვალდებულია:

ა) არც ერთი ფორმით მოახდინოს რაიმე გავლენა სასამართლო პროცესზე, თუნდაც უფრო სამართლიანი შედეგის დადგომის მიზნით;

ბ) დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის პროცესში, შეკითხვით მისთვის მიმართვისას, აუხსნას მათ მონიტორინგის მიზანი, ჩაურევლობის პრინციპის მნიშვნელობა და უარი უთხრას კომენტარზე ან/და მოქმედების განხორციელებაზე;

გ) არასდროს გამოხატოს საკუთარი აზრი/პოზიცია იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ახორციელებს დაკვირვებას, არც სასამართლო დარბაზში და არც მის გარეთ.

მუხლი 4. ობიექტურობა და მიუკერძოებლობა

1. ობიექტურობისა და მიუკერძოებოლობის პრინციპი გულისხმობს, რომ მონიტორების მიერ მიწოდებული/დამუშავებული ინფორმაცია, როგოც სამართლებრივ პროცედურებთან, ასევე სასამართლო განხილვის პროცესში ჩართულ პირთა ქცევასთან დაკავშირებით არის ზუსტი და არ არის რომელიმე ინსტიტუციის ან პროცესში მონაწილე რომელიმე მხარის სასარგებლო ან საწინააღმდეგო. ასეთი სახის მიდგომა ხელს უწყობს დაინტერესებული პირების მხრიდან მონიტორინგის შედეგად მომზადებული ანგარიშის და რეკომენდაციების მიმართ სანდოობის გაზრდას.

2. ამ მიზნით მონიტორი ვალდებულია:

ა) სასამართლოს სხდომაზე დაკვირვების ან ანგარიშის მომზადების პროცესში არასდროს გამოხატოს მიკერძოებული დამოკიდებულება;

ბ) სასამართლო განხილვის შესახებ განცხადება არ გააკეთოს სასამართლო წარმომადგენლების, საქმეში მონაწილე მხარეების ან ნებისმიერი მესამე პირების, მათ შორის, მედიის წინაშე;

გ) სასამართლო დარბაზში ყოფნისას, რამდენადაც შესაძლებელია, იჯდეს/იმყოფებოდეს განცალკევებით პროკურატურის, დაცვის მხარის, პროცესის სხვა მონაწილეებისა და მათი მხარდამჭერებისგან; ამასთან, სადამკვირვებლო პროცესზე აწარმოოს ჩანაწერები ცხადად და თანმიმდევრულად;
დ) საჭიროების შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს მონიტორინგის მეთოდოლოგია, მიიღოს ინფორმაცია პროცესში ჩართული მხარეებისგან ან/და სხვა დაინტერესებული პირებისგან და შეაგროვოს მრავალფეროვანი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროების მეშვეობით;
ე) სასამართლო განხილვისას მიმდინარეობისას არ ჩაერთოს საუბარში/დისკუსიაში სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებთან;
ვ) ანგარიშის მომზადებისას ნათლად/გარკვევით მიუთითოს მის მიერ დამუშავებული კონკრეტული ინფორმაცია რა წყაროებიდან იქნა მოძიებული.
3. ობიექტურობის მაქსუმალურად უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლო სხდომების მონიტორინგი უნდა განახორციელოს ერთდროულად ორმა მონიტორმა.

მუხლი 5. კონფიდენციალურობა

1. არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მონიტორმა უნდა უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის მაქსიმალური დაცულობა, განსაკუთრებით უნდა დაიცვას პროცესში ჩართული ბავშვის ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია.
2. ამ მიზნით მონიტორი ვალდებულია:
ა) არ გაუმჟღავნოს მონიტორინგის დროს მიღებული ინფორმაცია და მიგნებები სასამართლო მოხელეებს, პროცესის მხარეებს ან სხვა მესამე პირებს, მათ შორის, მედიის წარმომადგენლებს;
ბ) უზრუნველყოს ხელნაწერების, ელექტრონული მონაცემების ან სხვა მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, განსაკუთრებით თუ ისინი შეიცავენ პერსონალურ მონაცემებს, ან პირად ან კონფიდენციალურ წყაროს.
3. კონფიდენციალურობის პრინციპის უკეთ დაცვის მიზნით, სასამართლო სხდომებს, პროცესის სრული მიმდინარეობას უნდა დაესწროს ერთი და იგივე მონიტორი/მონიტორები.

მუხლი 6. სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობა

1. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ოფიციალური პირი/მოხელე მონიტორს უარს ეტყვის მონიტორინგის განხორციელებაზე ან დააბრკოლებს მის მიერ უფლებამოსილების განხორციელებას, მონიტორმა მას უნდა წარუდგინოს საკუთარი თავი და ნებართვა სასამართლოს სხდომის მონოტორიგის უფლებამოსილების თაობაზე.
2. მონიტორმა ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს და გამოხატოს პატივისცემა და თავაზიანობა ოფიციალური პირების/მოხელეების მიმართ და სასამართლო სხდომაზე დაშვებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დაბრკოლების შესახებ უნდა აცნობოს მის უშულო ხელმძღვანელს.

მუხლი 7. ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის თავისებურებები

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული არასრულწლოვნების სასამართლო სხდომების მონიტორინგი უნდა განახორციელოს იმავე სქესის მონიტორებმა.

მუხლი 8. მონიტორების უსაფრთხოება

1. მონიტორებმა არ უნდა განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომლებმაც შესაძლებელი საფრთხე შეუქმნას მათ უსაფრთხოებას. ამ მიზმით, მონიტორები ვალდებულნი არიან:

ა) უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინციდენტთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად თუ რამდენად მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ მიაჩნიათ აღნიშნული ფაქტი, ინფორმაცია დაუყონებლივ მიაწოდონ მათ უშუალო ხელმძღვანელს;

ბ) მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხის ან მუქარის შემთხვევაში, შეწყვიტონ მონიტორინგის განხორციელება და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობონ მათ უშუალო ხელმძღვანელს;

გ) ინფორმაციის ალტერნატიული წყაროებიდან მიღების მიზნით, არ დაუკავშირდნენ სხვა დაინტერესებულ პირებს/მესამე პირებს, თუკი არსებობს მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხე.

მუხლი 9. ქცევის წესების დაცვაზე ვალდებულების აღება

მონიტორინგის განხორციელების დაწყებამდე, ყველა მონიტორი ვალდებულია გაეცნოს დახელმოწერით დაადასტუროს, რომ გაეცნოს ამ წესებს და იღებს ვალდებულებას მის დაცვასთან დაკავშირებით.